

შპს „NEKTARI-2008”

2020 წლის ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო თარიღი			შენიშვნა
	31.12.2020	31.12.2019	01.01.2019	
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	134588	76854	107153	3.1
სავაჭრო მოთხოვნები	131353	219505	214106	
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	249873	74310	37547	
მარაგები	301923	380373	309682	3.2
მ.შ. - მზა პროდუქცია	75167	82347	65655	
- სხვა მარაგი	226756	298026	244027	
საინვესტიციო ქონება				
სხვა მიმდინარე აქტივები	621	87521	42419	3.3
ბიოლოგიური აქტივები				
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები	281	298	314	
ძირითადი საშუალებები	510193	458347	430160	3.4
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	1328832	1297208	1141381	
ვალდებულებები				
ფინანსური იჯარის (ლიზინგის) ვალდებულება				
სავაჭრო ვალდებულებები	63791	93233	104020	
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	7887		90	3.5
საგადასახადო ვალდებულებები	1946	59664	29879	
გამოუმუშავებელი შემოსავალი და მიღებული ავანსები	2		1541	
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები				
მიღებული გრანტებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები				
სულ ვალდებულებები	73626	152897	135530	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)	49790	49790	49790	
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	1205416	1094521	956061	
გადაფასების რეზერვი				
სხვა რეზერვები				
მ.შ. - არამაკონტროლებელი წილი				
სულ საკუთარი კაპიტალი	1255206	1144311	1005851	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1328832	1297208	1141381	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 25.09.2021 წ.

დირექტორები: _____ დ. დალაქიშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

საქმიანობის შედეგები

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2020	2019	
ნეტო ამონაგები	2816899	2788104	3.6
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	2815798	2787757	
- მომსახურების გაწევიდან	1101	347	
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა ამონაგები			
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-2019007	-2134392	
საერთო მოგება	797892	653712	
სხვა საოპერაციო შემოსავალი			3.7
დასაქმებულთა ანაზღაურება	-178955	-180392	
ცვეთა და ამორტიზაცია	-41958	-98126	
საპროცენტო შემოსავალი		5	
საპროცენტო ხარჯი			
იჯარის ხარჯი	-3250	-3250	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-198961	-171605	
სულ საოპერაციო ხარჯები	-423124	-453368	
საოპერაციო მოგება	374768	200344	
გაუფასურების ხარჯი/ აღდგენა			
- ფინანსური აქტივების			
- მარაგების	-346		
- სხვა არაფინანსური აქტივების			
წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან	14789	8859	3.8
მიღებული დივიდენდები			
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ ხარჯი	46762	37683	
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	435973	246886	
მოგების გადასახადის ხარჯი	-19735	-3656	
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ ზარალი	416238	243230	
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი			3.9
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი (მ.შ. ბიოლ. აქტივების)			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ ზარალი	416238	243230	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1144311	1005850	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-305263	-105263	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-80	494	
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1255206	1144311	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 25.09.2021 წ.

დირექტორები: _____ დ. დალაქიშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს "NEKTARI-2008"

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2020	2019
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	490308	165087
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-142519	-95583
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-290000	-100000
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	57789	-30496
სავალუტო კურსის ეფექტი	-55	197
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	76854	107153
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	134588	76854

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 25.09.2021 წ.

დირექტორები: _____ **დ. დალაქიშვილი**

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

**2020 წლის ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები**

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „NEKTARI-2008“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2008 წლის 15 მაისს თელავის საგადასახადო ინსპექციის მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 231288969, იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თელავი, რუსთაველის ქუჩა, N 73. ხოლო ფაქტობრივი მისამართი - ქ. თელავი, ტაბიძის შესახვევი.

კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის დამფუძნებელი პარტნიორი (100%-იანი წილის მფლობელი) არის საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი დავითი დალაქიშვილი (პ.ნ. 20001002685), რომელიც ამავე დროს წარმოადგენს კომპანიის დირექტორს.

1.3. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა უალკოჰოლო სასმელის ლიმონათის წარმოება. სხვა ეკონომიკური საქმიანობაა - პლასტმასის ნაწარმის ერთჯერადი ჭიქების წარმოება.

1.4. კომპანიას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს კომერციულ საქმიანობას მიმდევარი შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.5. კომპანიის დასაქმებულ თანამშრომელთა საშუალო რიცხვი 2020 წელს შეადგენდა 49 კაცს.

1.6. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება და შედეგების ასახვა ხდება პერსპექტიულად, ანუ იმ პერიოდში, როდესაც მოხდა სააღრიცხვო შეფასების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელოს, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება (მათ შორის, 3 წლამდე ნაკლებ ვადაში).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის)

ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება სამუშაო ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღირიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები - 25-40 წელი;

მანქანა-დანადგარები - 8-10 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა - 4 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%;
- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2020 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.2766 ლარი;

1 EUR=4.0233 ლარი.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.8677 ლარი;

1 EUR=3.2095 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2020 წელს: 1 USD=3.0937 ლარი; 1 EUR=3.5395 ლარი.

2019 წელს: 1 USD=2.8192 ლარი; 1 EUR=3.1553 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	67 495	31 038
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	66 834	43 326
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	212	2 451
ევროები ადგილობრივ საბანკო ანგარიშებზე	31	25
დირჰამი ადგილობრივ საბანკო ანგარიშებზე	16	14
სულ:	134 588	76 854

3.2. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
გასაყიდი საქონელი	1790	1692
ნედლეული და მასალები	175308	253657
საწვავი	12051	7102
ბოთლები	1187	1298
ტარა და ტარა-მასალები	678	678
დაუმთავრებელი წარმოება	7966	12
მზა პროდუქცია	75167	82347
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	27776	33588
სულ:	301923	380373

3.3. სხვა მიმდინარე აქტივები:

სხვა მიმდინარე აქტივი 621 ლარი მოიცავს ანგარიშსწორებას საპენსიო სააგენტოსთან.

3.4. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეო ბით	2020 წელი ზრდა ან შემცირება	2020 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეო ბით	2019 წელი ზრდა ან შემცირება	2019 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 01.01.2019 მდგომარეობით
შენობები	118376		6510	124885	2526	6417	128776
ნაგებობები	20051		1104	21155	-4028	1001	26183
დაუდგმელი მოწყობილობა	0			0	-1000		1000
მანქანა- დანადგარები	209493	40422	26918	195989	28470	51345	218864
ელექტროგადამცემის საშუალებები	72103		8920	81 023.36	89200	8177	0
კომპიუტ. ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	4893	-254	-1023	4124	1041	1359	4442
ელექტრო და მექანიკური ტექნიკა	1788	1444	320	664.39	772	107	0
ავეჯი	944		108	1 051.27	1076	25	0
ინვენტარი	8347	537	3542	11352	1442	3261	13171
სპეციალური ინსტრუმენტები	104	106	2				
მსუბუქი ავტომობილები	74018	83666	24876	15228	-46295	-31443	30079
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	0		1213	1213	488	1678	2403
მცირეფასიანი ძირითადი საშუალებები	76	-14895	-13309	1662	-	3580	5242
სულ:	510193	111026	59180	458347	73693	45507	430160

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა წლის ბოლოს შეადგენდა:

2020 წლის ბოლოს - 758822 ლარს.

2019 წლის ბოლოს - 699643 ლარს.

3.5. ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ:

აღნიშნული მუხლი მოიცავს 2020 წლის დეკემბრის თვის გადასახდელს ხელფასებს საპენსიოს ჩათვლით.

3.6. ნეტო ამონაგები

2019-2020 წლებში, კომპანიის ნეტო-ამონაგები მთლიანად შედგებოდა უალკოჰოლო სასმელის - ლიმონათის და ერთჯერადი ჭიქების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებისგან. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება დათვლილია საშუალო შეწონილი ფასების მეთოდის გამოყენებით.

3.7. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები (გარდა სხვა მუხლებში განცალკევებულად ასახული შრომის ანაზღაურების, იჯარის, პროცენტების, ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯებისა):

	2020 წელი	2019 წელი
დამხმარე მასალების დანახარჯები	11273	11446
საწარმოო დანიშნულების რემონტისა და საექსპლუატაციო ხარჯები	30167	32469
ტრანსპორტირების ხარჯები	25500	28122
მივლინებების ხარჯები	1815	4500
დიზაინერული მომსახურების ხარჯები		119
აქციზური მარკების ხარჯი გაყიდულ პროდუქციაზე	599	567
საღარო აპარატებთან დაკავშირებული ხარჯები	407	462
მზა პროდუქციის ტრანსპორტირება	72802	50987
დისტრიბუციის ტრანსპორტის სარემონტო დანახარჯები	8568	10629
გაზი, წყალი, დასუფთავება და ანალოგიური ხარჯები	970	970
საოფისე ინვენტარი	2562	1393
საკანცელარიო ხარჯი	459	758
კომპიუტერის ხარჯები	27	27
დომენის ხარჯი (neqtari.ge)	25	19
ჰოსტინგის მომსახურება (neqtari.ge)	110	112
კომუნიკაციის ხარჯი		47
პროგრამული მომსახურების ხარჯი	246	212
დაზღვევა	5910	4015
აუდიტორული და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯები	6064	6255
უიმედო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯები	11366	1520
საგადასახადო ხარჯი	5024	4468
საბანკო მომსახურების ხარჯი	1563	1482
საფოსტო ხარჯი	288	4
ძირითადი საშუალებების რემონტისა და საექსპლუატაციო ხარჯი	8739	7982
საქველმოქმედო ხარჯები	1500	
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2978	3038
სულ:	198961	171605

3.8. სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯები:

	2020 წელი	2019 წელი
ნაჩუქარი ქონება	780	1108
არასაოპერაციო ზარალი ძს და არ. აქტ. რეალიზაციიდან	-223	36391
პანდემიის გამო დაწესებული შეღავათი საშემოსავლო გადასახადში	27754	
საგადასახადო ჯარიმები და საურავები	-2	
გაუქმებული დავალიანება	16119	
სხვა არასამეწარმეო შემოსავალი	2334	185
სულ:	46762	37683

3.9. საკუთარი კაპიტალი:

2019-2020 წლებში მიღებული მოგებიდან დივიდენდი განაწილდა, ხოლო წესდებით დადგენილი კაპიტალი არ შეცვლილა.

3.10. სასამართლო დავები:

კომპანიას 2020 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი სახის სასამართლო დავები არ ჰქონდა.

3.11. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2020-2021 წლებში ადგილი ჰქონდა შემდეგ მნიშვნელოვან მოვლენას: მსოფლიო მასშტაბით, გავრცელდა ახალი კორონავირუსი COVID-19, რაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ 2020 წლის 11 მარტს, გამოცხადებულ იქნა პანდემიად. ეს ვითარება გაგრძელდა 2021 წელსაც. 2020 წლის ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისათვის, პანდემია დამარცხებული არ არის.

ამის მიუხედავად, კომპანიას არსებითი სახის ფინანსური სირთულეები არ შექმნია და კომპანია უწყვეტ და ჩვეულებრივ რეჟიმში აგრძელებდა ფუნქციონირებას.

2021 წლის 1 იანვრიდან 25 სექტემბრამდე პერიოდში, კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაში სხვა საყურადღებო მოვლენები არ მომხდარა.

3.14. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2021 წლის 25 სექტემბერს კომპანიის მენეჯმენტის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო თარიღი			შენიშვნა
	31.12.2020	31.12.2019	01.01.2019	
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	134588	76854	107153	3.1
სავაჭრო მოთხოვნები	131353	219505	214106	
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	249873	74310	37547	
მარაგები	301923	380373	309682	3.2
მ.შ. - მზა პროდუქცია	75167	82347	65655	
- სხვა მარაგი	226756	298026	244027	
საინვესტიციო ქონება				
სხვა მიმდინარე აქტივები	621	87521	42419	3.3
ბიოლოგიური აქტივები				
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები	281	298	314	
ძირითადი საშუალებები	510193	458347	430160	3.4
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	1328832	1297208	1141381	
ვალდებულებები				
ფინანსური იჯარის (ლიზინგის) ვალდებულება				
სავაჭრო ვალდებულებები	63791	93233	104020	
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	7887		90	3.5
საგადასახადო ვალდებულებები	1946	59664	29879	
გამოუმუშავებელი შემოსავალი და მიღებული ავანსები	2		1541	
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები				
მიღებული გრანტებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები				
სულ ვალდებულებები	73626	152897	135530	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)	49790	49790	49790	
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	1205416	1094521	956061	
გადაფასების რეზერვი				
სხვა რეზერვები				
მ.შ. - არამაკონტროლებელი წილი				
სულ საკუთარი კაპიტალი	1255206	1144311	1005851	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1328832	1297208	1141381	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად /25.09.2021 წ.

დირექტორები: _____ დ. დალაქიშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.



ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2020	2019
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	490308	165087
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-142519	-95583
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-290000	-100000
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	57789	-30496
სავალუტო კურსის ეფექტი	-55	197
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	76854	107153
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	134588	76854

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 25.09.2021 წ.

დირექტორები: _____

დ. დალაქიშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.



საქმიანობის შედეგები

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2020	2019	
ნეტო ამონაგები	2816899	2788104	3.6
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	2815798	2787757	
- მომსახურების გაწევიდან	1101	347	
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა ამონაგები			
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-2019007	-2134392	
საერთო მოგება	797892	653712	
სხვა საოპერაციო შემოსავალი			3.7
დასაქმებულთა ანაზღაურება	-178955	-180392	
ცვეთა და ამორტიზაცია	-41958	-98126	
საპროცენტო შემოსავალი		5	
საპროცენტო ხარჯი			
იჯარის ხარჯი	-3250	-3250	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-198961	-171605	
სულ საოპერაციო ხარჯები	-423124	-453368	
საოპერაციო მოგება	374768	200344	
გაუფასურების ხარჯი/ აღდგენა			3.8
- ფინანსური აქტივების			
- მარაგების	-346		
- სხვა არაფინანსური აქტივების			
წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან	14789	8859	
მიღებული დივიდენდები			
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ ხარჯი	46762	37683	
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	435973	246886	
მოგების გადასახადის ხარჯი	-19735	-3656	
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ ზარალი	416238	243230	
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი			3.9
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი (მ.შ. ბიოლ. აქტივების)			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	416238	243230	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1144311	1005850	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-305263	-105263	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-80	494	
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1255206	1144311	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 25.09.2021 წ.

დირექტორები: _____

დ. დალაქიშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.